

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 17 დეკემბრის =71 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

მიმდინარე წლის 12 დეკემბერს N62 წერილით სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სენატს დასამტკიცებლად წარმოუდგინა 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი, შედგენილი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. ნაერთი და საფაკულტეტო ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯები გაწერილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით.

სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ნაშთის ჩათვლით (ეკონომიკური საქმიანობიდან 170.545 ლარი და რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამიდან 19.033 ლარი) განისაზღვრა 49.171.563 ლარით, რომელიც 2014 წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტის მაჩვენებლებთან (41.273.383ლ.) შედარებით გაზრდილია 7.898.180 ლარით, აღნიშნული სხვაობიდან სამეცნიერო კვლევითი გრანტების მაჩვენებელი გაზრდილია 57.214 ლარით, კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები შემცირებულია 381.227 ლარით, ხოლო სწავლების საფასურის შემოსავლის ზრდა შეადგენს 8.032.615 ლარს, რომელიც გამოწვეულია აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შექმნით.

2015 წლის ასიგნებები შესაბამისად 49.171.563 ლარით განისაზღვრა, სადაც შრომის ანაზღაურების (27.346.481ლ) წილი ასიგნებების მიმართ 55,6 %-ს შეადგენს, საქონელი და მომსახურების (16.876.118ლ) წილი 34,3 %-ს, სოციალური უზრუნველყოფა (383.812ლ) 0,8%-ს, სხვა ხარჯები (1.395.299ლ.) 2,8 %-ს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა(3.169.853ლ.) 6,5%-ს, ამასთან ადმინისტრირების ასიგნებების (7.366.358ლ) წილი მთლიანი ასიგნების მიმართ 15 %-ს შეადგენს, ხარჯების წილი მთლიანი ხარჯების მიმართ 13,6%-ს, ხოლო ადმინისტრაციაში დასაქმებულ

თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება (3.517.843ლ) საერთო შრომის ანაზღაურების მიმართ 12,9 %-ს.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის საშტატო პერსონალის და ფაკულტეტების ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულების რაოდენობა 1161 ერთეულს შეადგენს, ხოლო წლიური სახელფასო ფონდი 7.594.380 ლარს.

საფაკულტეტო ბიუჯეტები დაგეგმილია ნორმატიულ ბაზაზე დადგენილი შემოსავლებიდან გასანაწილებელი თანხის პროცენტისა და ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისათვის გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, საიდანაც ფაკულტეტების შემოსავლები ნაწილდება, როგორც ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების დაფინანსებისათვის, ასევე ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისათვის, რაც ასახვას ჰპოვებს ფაკულტეტების საბოლოო შემოსავლისა და ასიგნებების მაჩვენებლებზე:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ასიგნებები საერთო შემოსავლის მიმართ შეადგენს 81%-ს;
2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ასიგნებები ასევე 81%-ს;
3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ასიგნებები 97%-ს;
4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ასიგნებები დაგეგმილია ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისათვის გადაცემული და მიღებული ტრანსფერის ჩათვლით;
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ასიგნებები 83%-ს ;
6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ასიგნებები 89%-ს;
7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ასიგნებები 64%-ს;
8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასიგნებები 99 %-ს;
9. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ასიგნებები 76%-ს;
10. დიზაინის საერთაშორისო სკოლის ფაკულტეტი დეფიციტურია და ასიგნებები დაგეგმილია ფაკულტეტის შემოსავლისა და გასაცემი ტრანსფერის 90. 000 ლარის ჩათვლით;

სენატი დადებით მოვლენად თვლის იმ ფაქტს, რომ სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაზრდილია 7 898 180 ლარით, მიმდინარე რემონტების ხარჯები 410 356 ლარით. წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი სოციალურად ორიენტირებულია.

სენატს მიაჩნია, რომ მიუხედავად გარკვეული დადებითი მომენტებისა დასამტკიცებლად წარმოდგენილი ბიუჯეტი ხასიათდება ნაკლოვანებებით.

სტუ-ის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო პროგრამული ბიუჯეტის შემუშავება ბიუჯეტის კლასიფიკატორის მიხედვით. ხარჯების დიდი ნაწილი არ არის სათანადოდ დასაბუთებული და პროგრამულად გაწერილი. სწორედ ასეთი სახით 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამ განაპირობა მასში წლის განმავლობაში 90-ზე მეტი შესწორების შეტანა, რაც მომავალში არ უნდა იყოს დაშვებული. აქვე აღსანიშნავია, რომ დასაბუთების გარეშეა გაზრდილი შრომის ანაზღაურება 1 762 418 ლარით, შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 2 225 471 ლარით, რომ სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 7 898 180 ლარით ზრდის პირობებში, არ არის გათვალისწინებული პროფესორ-მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ზრდის ტენდენცია.

სენატი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ 2015 წელს ბიუჯეტით დაგეგმილია ელექტროენერგიაზე ხარჯების გაზრდა 302 250 ლარით, წყლის ხარჯების 88 256 ლარით, რაც მოითხოვს ამ მიმართულებით მკაცრი მონიტორინგის განხორციელებას სფეროში მართვის სისტემის სრულყოფის უკვე არსებული ოპტიმალური მეთოდების გათვალისწინებით. სენატი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ სტუ-ის ადმინისტრაციის მიერ ჭიანჭურდება 2013 წლის 30 დეკემბრის დადგენილების შესრულება, კერძოდ დამხმარე პერსონალის ღია კონკურსის წესით სამუშაოზე მიღების წესის შემუშავება და სენატისთვის დასამტკიცებლად წარმოდგენა. ამავე დადგენილების შესაბამისად, მიუხედავად მრავალჯერ მცდელობისა, ვერ იქნა უზრუნველყოფილი მმართველობითი და დამხმარე პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაცია, რამაც განაპირობა 2014 წლის პირველ ნახევარში დამხმარე პერსონალის სამუშაოზე მიღების კონკურსის ჩაუტარებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სენატმა დაადგინა:

დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის ნაერთი ბიუჯეტი (დანართი N1).

I. საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 49.171.563 ლარით, მათ შორის:

- ნაშთი წლის დასაყისში ეკონომიკური საქმიანობიდან 170.545 ლარით და რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამიდან 19.033 ლარით;
- ფასიანი სწავლებიდან შემოსავალი 45.151.480 ლარით;
- სამეცნიერო გრანტები 2.210.132 ლარით;

- კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები 1.620.373 ლარით (იჯარა 339.602 ლარი; დეპოზიტები 100.000 ლარი; სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავალი 1.180.771 ლარი);

II. ხარჯვითი ნაწილი შესაბამისად განისაზღვროს 49.171.563 ლარით, მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება 27.346.481 ლარი;
2. საქონელი და მომსახურება 16.876.118 ლარი;
3. სოციალური უზრუნველყოფა 383.812 ლარი;
4. სხვა ხარჯები 1.395.299 ლარი;
5. არაფინანსური აქტივების ზრდა 3.169.853 ლარი;

III. დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტის ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ასიგნებები 7.366.358 ლარით (დანართი N4-1), მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება 3.517.843 ლარი;
2. საქონელი და მომსახურება 3.057.055 ლარი;
3. სოციალური უზრუნველყოფა 100.000 ლარი;
4. სხვა ხარჯები 29.200 ლარი;
5. არაფინანსური აქტივების ზრდა 662.260 ლარი;

IV. დამტკიცდეს სტუ-ის ფაკულტეტების 2015 წლის ბიუჯეტები (დანართი N3), მათ შორის:

1. სამშენებლო ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 4.529.425 ლარით; ასიგნებები 3.659.220 ლარით;
2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 4.944.975 ლარით; ასიგნებები 4.002.640 ლარით;
3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3.072.100 ლარით; ასიგნებები 2.993.831 ლარით;
4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3.030.750 ლარით; ასიგნებები 3.153.241 ლარით;
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 4.929.250 ლარით; ასიგნებები 4.080.486 ლარით;
6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 1.919.155 ლარით; ასიგნებები 1.704.898 ლარით;

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 11.722.550 ლარით; ასიგნებები 7.471.095 ლარით;
8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 8.434.950 ლარით; ასიგნებები 8.357.644 ლარით;
9. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2.317.325 ლარით; ასიგნებები 1.760.391 ლარით;
10. დიზაინის საერთაშორისო სკოლის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 251.000 ლარით; ასიგნებები 335.510 ლარით;
სულ ფაკულტეტების საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 45.151.480 ლარით, ხარჯვითი ნაწილი - 37.518.956 ლარით;

V. დამტკიცდეს:

- ა. 2015 წლის სამეცნიერო-კვლევითი გრანტებიდან შემოსავლები 2.210.132 ლარით;
- ბ. 2015 წლის შემოსულობები და გადასახდებლები ეკონომიკური საქმიანობიდან 1.620.373 ლარით N5 დანართის შესაბამისად;
- გ. სტუ-ისა და აიოვას უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესასრულებლად 2015 წელს გასაწევი ხარჯების მოცულობა 266.166 ლარით;
- დ. რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მოცულობა 19.033 ლარით, 2015 წელს ნაშთად დარჩენილი თანხის შესაბამისად.

VI. ნება დაერთოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განახორციელოს ცვლილებები მთლიანი ასიგნების 7 %-ის ფარგლებში.

VII. სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად ფაკულტეტების მიერ მიღებული ჭარბი შემოსავლების 100 % დარჩეს მათ განკარგულებაში;

VIII. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფესორი, ქ. ქოქრაშვილი) უზრუნველყოს:

1. ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის განუხრელი შესრულება;
2. ფაკულტეტის დეკანებთან ერთად ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ყველა პარამეტრის შესაბამისად, შემუშავებული მიზნობრივი პროგრამებით

დაგეგმილი სამუშაოების შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერების შედეგების მიხედვით, დაზუსტებული ნაერთი ბიუჯეტი დასამტკიცებლად წარუდგინოს სენატს 2015 წლის თებერვალში;

3. დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების შესრულების პროცესში მიღებული ეკონომია წახალისებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით მიიმართოს თანამშრომელთა საპრემიო და ფინანსური დახმარების ფომდში;

4. 2015 წლის თებერვლის ბოლომდე შეიმუშაოს დამხმარე პერსონალის ღია კონკურსის და სამუშაოზე მიღების წესი და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს სენატს.

IX. ეთხოვოს სტუ-ის რექტორს (აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი):

ა) კონკურსის ჩატარებამდე სტუ-ის სამსახურებმა წარმოადგინონ ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად საჭირო შესაბამისი სტრუქტურის და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის ოპტიმალური ვარიანტი და დასამტკიცებლად წარუდგინონ სენატს.

ბ) სენატის მიერ დამტკიცებული დამხმარე პერსონალის სამუშაოზე მიღების წესის შესაბამისად 2015 წლის პირველ ნახევარში უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით ღია კონკურსის ჩატარება და შედეგების გათვალისწინებით განახორციელოს თანამშრომელთა სამუშაოზე მიღება.

X. მიზანშეწონილად ჩაითვალოს სტუ-ში პროფესორ-მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის დადგენილი წესით შრომის ანაზღაურებასთან ერთად გამოყენებულ იქნეს ბონუსის პრინციპებზე დამყარებული წახალისების ფორმაც, რისთვისაც ეთხოვოს სტუ-ის აკადემიურ საბჭოს ბონუსის გაცემის წესისა და პირობების შესახებ იქონიოს მსჯელობა და მისი დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში წარუდგინოს პროექტი სენატს დასამტკიცებლად.

XI. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დეკანებთან ერთად ბონუსის წესის შემოღების დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მოამზადოს 2015 წლის ბიუჯეტში გასატარებელი ცვლილებების პროექტი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 17 დეკემბრის =71 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 17 დეკემბრის =71 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 78 340 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; ხოლო კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში 1 000 ლარი. ტრანსპორტის დაქირავების, გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯებიდან 2 850 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 40 000 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯების მუხლში; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების მუხლში 1 000 ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში 1 500 ლარი; ელექტრომომწობილობების შეძენის მუხლში 2 500 ლარი; არაფინანსური აქტივების სხვა არამატერიალური აქტივების მუხლში 1 898 ლარი.

წარმომადგენლობითი ხარჯების, მიღებათა და ღონისძიებების ხარჯებიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს იჯარასა და ქირასთან დაკავშირებულ ხარჯების მუხლში, ხოლო ორდენების, სიგელების, სუვენირების, მედლებისა და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯების მუხლში 5 000 ლარი;

3. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხარჯების მუხლიდან 4 700 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის დაქირავების,

გადაყვანა/გადაზიდვის ხარჯების მუხლში; ხოლო სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების მუხლში 2 400 ლარი;

4. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში კვების ხარჯებიდან 2 616 ლარი; შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 2 246 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯებიდან 158 ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებიდან 4 111 ლარი, სულ ჯამში 9 131 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების სხვა მიმდინარე ხარჯების მუხლში; შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 46 885 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების მუხლში.

5. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებიდან 1 750 ლარი; ტრანსპორტის დაქირავების, გადაყვანა/გადაზიდვის ხარჯებიდან 213 გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების სხვა მიმდინარე ხარჯების მუხლში;

6. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებიდან 1 350 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

7. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის მუხლიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 2 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებიდან 17 730 ლარი შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; რეკლამის ხარჯებიდან 2 200 ლარი; სამედიცინო დანიშნულების მასალების, ინსტრუმენტების შეძენის ხარჯებიდან 500 ლარი; ტრანსპორტის დაქირავების, გადაყვანა/გადაზიდვის ხარჯებიდან 2 000 ლარი სხვა ხარჯების სხვა მიმდინარე ხარჯების მუხლში; რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯებიდან 9 161 ლარი პრემიის მუხლში;

8. სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემების უზრუნველყოფის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 15 000 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 15 190 ლარი; საკანცელარიო ხარჯების მუხლიდან 185 ლარი; საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლიდან 1 850 ლარი; შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 260 ლარი; საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის მოვლა-შენახვის ხარჯებიდან 920 ლარი; კავშირგაბმულობის ხარჯებიდან 1 000 ლარი; ელექტროენერჯის ხარჯებიდან 1 100 ლარი; წყლის ხარჯებიდან 500 ლარი; ბუნებრივი აირის ხარჯებიდან 500 ლარი; რეკლამის ხარჯებიდან 2 867 ლარი; სესიებისა და კონფერენციების ორგანიზების ხარჯებიდან 128 ლარი; საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნისა და თარგმანის მომსახურების ხარჯებიდან 500 ლარი და სამეცნიერო ხარჯებიდან

1 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში. რეკლამის ხარჯებიდან 1 133 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო საშუალებების საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯების მუხლში;

9. სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემების უზრუნველყოფის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვაში სატრანსპორტო საშუალებების საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯებიდან 550 ლარი გადატანილ იქნეს მიმდინარე რემონტის, სათადარიგო ნაწილების ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის ხარჯების მუხლში;

10. სტუ-ის მეცნიერების განვითარების ხელშეწყობი კომისიის 2014 წლის 17 ოქტომბრის სხდომის №5 ოქმის საფუძველზე და სენატის 19 ნოემბრის სხდომაზე დამტკიცებული პროექტისთვის „თესლის დაბალსიხშირულ მაგნიტურ ველში დამამუშავებელი მოწყობილობის შექმნა-დამზადება (ხელმძღვანელი გ. ქევანიშვილი)“ გამოყოფილი თანხა 5 000 ლარი გადანაწილდეს კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებში, კერძოდ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 2 232 ლარი, დანადგარის შესაქმნელად საჭირო დეტალებისა და მასალების შესაძენად 2 768 ლარი;

11. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: საკანცელარიო ხარჯებიდან 1 084 ლარი; საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯებიდან 28 785 ლარი; საოფისე ტექნიკის მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 4 650 ლარი; ინტერნეტის ხარჯებიდან 1 185 ლარი; ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენიდან 34 000 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის ხარჯებიდან 9 935 ლარი; სუბსიდიის მუხლიდან 199 067 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში.

ასევე, ინტერნეტის ხარჯებიდან 600 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის მუხლში, რომელიც კლასიფიცირებული არ არის. სუბსიდიის მუხლიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში. ამავე მუხლიდან 30 000 ლარი გადატანილ იქნეს არასაცხოვრებელი შენობების მუხლში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 17 დეკემბრის #71 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 17 დეკემბრის #71 სხდომაზე პროფ. თამაზ აგლაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ფუნქციონალური დანაფარების და ნანონაწილაკების ელექტროქიმიური ტექნოლოგიების ცენტრისათვის თანხის გამოყოფის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №1335.

სენატმა დაადგინა: სტუ-ის ფუნქციონალური დანაფარების და ნანონაწილაკების ელექტროქიმიური ტექნოლოგიების ცენტრს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოეყოს საკვლევი აპარატურის პოტენციოსტატის შესაძენად 70000 (სამოცდაათათასი) ლარი, ხოლო რეაგენტებისა და მასალების შესაძენად 20000 (ოციათასი) ლარი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 17 დეკემბრის =71 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 17 დეკემბრის =71 სხდომაზე პროფ. გიორგი სალუქვაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ქალაქთშენებლობითი ეკოლოგიის პრობლემების შემსწავლელი სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №1338.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ქალაქთშენებლობითი ეკოლოგიის პრობლემების შემსწავლელი სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სენატის

2014 წლის 17 დეკემბრის =71 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 17 დეკემბრის =71 სხდომაზე პროფ. თენგიზ მუსელიანი წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე ელექტროტექნიკური პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო „ელექტროენერგეტიკოსის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №1339.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე ელექტროტექნიკური პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო „ელექტროენერგეტიკოსის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 17 დეკემბრის =71 სხდომაზე პროფ. აკაკი გიგინეიშვილმა წარმოადგინა საკითხი საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „საინჟინრო ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №1380.

სენატმა დაადგინა:

1. გაუქმდეს საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტთან არსებული „საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების მომზადების თრენინგ ცენტრი“, „მასობრივი და ლოკალური საფრთხეების შეფასებისა და კვლევის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“, „სამრეწველო ბიოეკოტექნოლოგიების სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი“, „საინჟინრო ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ და მათ ნაცვლად შეიქმნას თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „საინჟინრო ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტი“.
2. დამტკიცდეს აღნიშნული ინსტიტუტის დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

2014 წლის 17 დეკემბრის =71 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 17 დეკემბრის =71 სხდომაზე სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, პროფ. ბექა მაისურაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: მოწონებულ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ მომზადებული სტუ-ის წესდებაში შესატანი ცვლილებების გადამუშავებული ვარიანტი და წარედგინოს დასამტკიცებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

2014 წლის 17 დეკემბრის =71 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 17 დეკემბრის =71 სხდომაზე პროფ. ვანო გორგიძემ წარმოადგინა საკითხი ჟურნალ „მეცნიერება და ტექნოლოგიების ერთი ეგზემპლარის საფასურის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №1374.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თანხმობა სტუ-ის აკადემიურ საბჭოს ჟურნალ „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ერთი ეგზემპლარის ღირებულების 5 (ხუთი) ლარით განსაზღვრის შესახებ.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე